

**ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრის“
2017 წლის პროგრამა**

მუხლი 1. პროგრამის მიზნები

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის მდგრადი განვითარება და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.
2. ტურიზმის განვითარების საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანები

1. მიმზიდველი ტურისტული გარემოს შექმნა ადგილობრივი კულტურული, ეთნოგრაფიული, ეკოსისტემისა და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების შენარჩუნებით.
2. ტურისტების მოზიდვა, ადგილობრივი ტურიზმის განვითარება, შიდა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ადგილის დამკვიდრება.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების გზები

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული და საკურორტო პოტენციალის შესწავლის გაგრძელება.
2. გეგმიური მონიტორინგის ჩატარება არსებულ მარკირებულ ტურისტულ საფეხმავლო ბილიკებზე.
3. ტურიზმის სხვადასხვა სახეობების (კულტურულ-შემეცნებითი, ღვინის გასტრონომიული, სათავგადასავლო-სალაშქრო, ექსტრემალური, აგრო-სასოფლო-ფერმერული, ეკო, სპელეო, პილიგრიმული ტურები) განვითარების ხელშეწყობა.
4. ტურისტული პროდუქტისა და სერვისების შექმნა-გაუმჯობესება (სუვენირებისა და ადგილობრივი პროდუქტების მწარმოებლების მოძიება, რეალიზაციის ხელშეწყობა).
5. ადგილობრივ სასტუმროებსა და საოჯახო სასტუმროებთან ურთიერთობა, მონაცემთა ბაზის მუდმივი განახლება.
6. პროექტისათვის „City Info Zone“ ინფორმაციის მუდმივი განახლება.
7. სარეკლამო საინფორმაციო მასალების (ფოტოები, სტიკერები, ბუკლეტები, ფლაერები, ბროშურები) მომზადებას, დაბეჭდვა-გავრცელება.
8. ტურისტების მოზიდვის მიზნით სარეკლამო კამპანიის წარმოება.
9. ფოტო-ტურის მოწყობა.
10. სტატისტიკური კვლევის წარმოება.
11. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ვიზიტორთა ყოველდღიური სტატისტიკის წარმოების გაგრძელება.
12. საინფორმაციო ბაზის მუდმივი განახლება.
13. ტურისტების ინფორმაციით უზრუნველყოფა.
14. ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში დასუფთავების აქციების ორგანიზება და განხორციელება.
15. ტურიზმის სფეროში კადრების მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.
16. საქართველოში არსებულ ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებთან თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა.
17. რეგიონში არსებულ ტურიზმის სამსახურებთან თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა.
18. საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა.

19. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით Google.map-ზე და მობილურ აპლიკაციაში „Maps.me“ ტურისტული ობიექტების დატანა.

მუხლი 4. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის განხორციელების ძირითადი ფინანსური წყაროა:

- ა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი;
- ბ) ტურისტული პროდუქტის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები;
- გ) გრანტები;
- დ) შემოწირულობები;
- ე) კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 5. პროგრამის ადმინისტრირება

პროგრამის ადმინისტრირებას ახორციელებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახური.

მუხლი 6. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ათვისება-განვითარებას, ტურისტული პოტენციალის ტურისტულ პროდუქტად ქცევას, მიმზიდველი ტურისტული გარემოს შექმნას და ტურისტების ნაკადის გაზრდას, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებსა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.